# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 325

„12" აგვისტო 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, მირზა შაფის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.067) „სამეფო ბაღების" განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2015 წლის 24 ივლისის №13 ოქმის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 30 ივლისის №33 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 3 აგვისტოს №04/14418 წერილის (AR1327192) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, მირზა შაფის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.018.067) „სამეფო ბაღების" განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1327192 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

# ქ. თბილისში, მირზა შაფის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსი "სამეფო ბაღები"-ს განაშენიანების რეგულირების გეგმა

შეთანხმებულია
ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ.
არქიტექტურის სამსახურთან




| რზ-2 | 0 |
|---|---|
| 0.0 | 0.0 |
| 1.0 | |
| 2,114.0 m² | |

| სსზ-2 | 9-35მ |
|---|---|
| 0.6 | 3.6 |
| 0.1 | ბ |
| 7,086.0 m² | |

12,700 მ² (50 %)

12,700 მ² (50 %)



| 1 | 2 |
|---|---|
| 3 | 4 |
| 5 | 6 |
| 7 | |

1. ზონის სახეობა
2. სართულიანობა — სიმაღლე (მეტრებში)
3. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1
4. ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2
5. გამწვანების კოეფიციენტი კ-3
6. სახურავის ტიპი (ქანობიანი, ბრტყელი)
7. ზონის ფართობი



შპს.
"დემარკი"